საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 1268/01
07/02/2019

1268-01-2-201902071755

შპს „ოპტიკალ სისტემს ინკის''
დირექტორს ბატონ ლინა მას

მის: თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქ.N72, კოპრ. 10, სადარბაზო I, ბინა N2

ბატონო ლინა,

სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 30 ივნისის N1275 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. იელის მიმდებარეთ ქვიშრობული ოქროს მომპოვებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს. წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მიხედვით შპს „ოპტიკალ სისტემს ინკი'' გეგმავს მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. იელის მიმდებარედ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ალუვიური (ქვიშა, ხრეში, კენჭები, კაჭარი) ნალექებიდან თავისუფალი ოქროს მიღებას გრავიტაციული მეთოდით (ვაშგერდის გამოყენებით).

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს:

- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის (საწარმოს ტექნოლოგიისა) და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ;
- საპროექტო ტერიტორიის დახასიათებას, ასევე მიმდებარე ტერიტორიებისა და უახლოესი დასახლების შესახებ ინფორმაციას;
- ზოგად ინფორმაციას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების და მისი სახეების შესახებ და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოციალურ გარემოზე და სხვა ობიექტებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნულისა სკოპინგის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ტექნოლოგიური ციკლის დეტალური აღწერა, მათ შორის ინფორმაცია საწარმოს სიმძლავრეზე, ასევე გამოყენებული რესურსების (ნედლეული, ელ. ენერგია, წყალი) შესახებ; ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების წყაროების, ხმაურ წარმომქმნელი დანადგარების, სალექარების და სანიაღვრე სისტემის განლაგება და წარმადობა.

ასევე მოცემული უნდა იყოს ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილებისა და მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების (სახიფათო/არასახიფათო, მოცულობა) შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას.

გთხოვთ, 1 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენა სამინისტროში შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციით, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოადგილე